ა. (ა). ი. პ. ხარაგაულის „კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის განვითარები ცენტრი“-ს

2024-2025 წლის ანგარიში

მოგახსენებთ რომ ა(ა)ი.პ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი შეიქმნა 2018 წელს, რომელშიც გაერთიანდა ხარაგაულის კულტურის ცენტრი, ისტორიული მუზეუმი, ლიტერატურული თეატრი და ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა.

2024 წელს კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ბიუჯეტი განისაზღვრა 1 168 900 ლარით, მოხდა სახელფასო ფონდის 10 პროცენტიანი მატება.

ეს წელი დატვირთული იყო უამრავი ღონისძიებით. (იხილეთ მთელი წლის პროგრამა)

**იანვარი**

წლის პროგრამებზე და ღონისძიებებზე მუშაობა

წლის პროგრამის პრეზენტაცია

**თებერვალი**

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და სოფლის განყოფილებების ორგანიზებით „წიგნის საჯარო კითხვის“ მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები.

ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი წარმოგვიდგენს პოეტ პაატა(ბართლომე) მახარაძის საღამოს.

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში დავით აღმაშენებლის დღისადმი მიძღვნილი საღამო.

ხარაგაულის თოჯინების თეატრი მუნიციპალიტეტის 4 სოფელში გამართავს სპექტაკლებს.

ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის პროექის „როცა ერთმანეთს ვჭირდებით“ ფარგლებში შეხვედრა სოფ. ლეღვანში ღვაწლმოსილ პედაგოგთან და მასზე ვიდეორგოლის გადაღება.

მამუკა ჭიპაშვილის წიგნის „ამბები ღიმილის არომატით“ პრეზენტაცია ხარაგაულის საბიბლიოთეკო დარბაზში.

კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით „კაფიების საღამო“

მარტი

ხარაგაულის იუმორისტული ჯგუფის „ჭირიმეს“ მონაწილეობა ქართული ლიგის საგაზაფხულო სეზონზე.

ხარაგაულის თეატრში გაიმართება სპექტაკლის პრემიერა „იუბილე სიურპრიზებით“

ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის პროექის „როცა ერთმანეთს ვჭირდებით“ ფარგლებში შეხვედრა  შემოქმედ ადამიანთან და მასზე ვიდეორგოლის გადაღება.

ხარაგაულის თეატრი სოფ. ბორითში.  გაიმართება სპექტაკლის  პრემიერა „იუბილე სიურპრიზებით“

**აპრილი**

დედაენის დღის აღნიშვნა

„საბიბლიოთეკო კვირეული“ ყველა საჯარო ბიბლიოთეკაში

წიგნის ჩუქების დღე

საბიბლიოთეკო კვირეულის დასკვნითი ღონისძიება ხარაგაულის სამკითხველო დარბაზში

ლიტერატურული კონკურსი „ოდეონი“ ბავშვებისათვის

**მაისი**

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება მუზეუმში

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება კინოთეატრში

**ივნისი**

ანსამბლ „უბისი“ს კონცერტი

თოჯინების თეატრი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში

ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის გასვლა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში

„ცოცხალი წიგნები“ სოფლებში

საზაფხულო კონცერტი კინოთეატრში „ერთი ლამაზი საღამო“

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის პროექტი დამსვენებელი ბავშვებისათვის „პატარა არქეოლოგები“

**ივლისი**

ხარაგაულის თეატრის პრემიერა

იმერეთის თეატრალური ფესტივალი, ხარაგაულის თეატრის „ბამბაზიის სამოთხე“ ჩვენება!

კინოთეატრში ევროპის ჩემპიონატის თამაშების დიდ ეკრანზე ერთობლივი ჩვენება

ანსამბლ „ხარაგაულის ხმების“ შემოქმედებითი საღამო

ინოვაციების ცენტრში „ლეგო რობოტების“ პროგრამის დასკვნითი ღონისძიება

ხალხური პოეზიის საღამო „ლექსი არ დაიკარგები“

**აგვისტო**

პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში შეხვედრა -კონცერტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში

იუმორისტული ფესტივალი ბორჯომში ხარაგაულის იუმორისტული გუნდის მონაწილეობით.

თოჯინების თეატრი სოფლებში

ერუდიტ „კარვების ბანაკი“ მოსწავლეთათვის

ლიტერატურული პროექტი „ოდეონი“

**სექტემბერი**

„ოდეონი“-2024

კონკურს „ოდეონის“ დასკვნითი ღონისძიება სამკითხველო დარბაზში

სპექტაკლი უფროსკლასელთათვის ხარაგაულის სახალხო თეატრი- „ბამბაზიის სამოთხე“

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით „ხარაგაულის კვარტეტის“ მიერ შესრულებული სიმღერის კლიპის პრეზენტაცია

**ოქტომბერი**

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა ზეინაბ ბუაჩიძის წიგნის ___ "პაემანი ჰორიზონტს მიღმა...“ პრეზენტაცია

ახალგაზრდა მწერლის „სანდო ტაბატაძის“ წიგნის პრეზენტაცია

საბავშვო წიგნის დღის აღსანიშნავი ღონისძიება საბავშვო ბიბლიოთეკაში

**ნოემბერი**

მწერალ იზოლდა ჭიპაშვილის წიგნის პრეზენტაცია

„ხარაგაულობის“ დღესასწაულის აღნიშვნა

**დეკემბერი**

ფოტოკონკურსი „ეს ჩემი ხარაგაულია“

საახალწლო ღონისძიებები

კონკურსი ხელნაკეთი თოვლის ბაბუები

აქვე გეტყვით, 2024 წლის სექტემბერში მოხდა ჩვენი სამსახურის რეორგანიზაცია, შემოგვიერთდა ტურიზმის სამსახური და ჩვენი ა. ი. პ.ი გადაიქცა „კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის განვითარების“ ცენტრად.

რაც შეეხება 2025 წელს, ხარაგაულის კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის განვითარების“ ცენტრის ბიუჯეტი განისაზღვრა 1 602 475 ლარით, (მ.შ. შრომის ანაზღაურება 1 390875 ლარი, 10 პროცენტიანი ხელფასების მატებასთან ერთად მოხდა ყველა თანამშრომელის ხელფასის 125 ლარით გაზრდა.

10 იანვარს, სამკითხველო დარბაზში, წარმოდგენილი იყო 2024 წლის შემაჯამებელი შეხვედრა-პრეზენტაცია, აქვე თანამშრომლებს დეტალურად გაეცნო 2025 წლის კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრის ბიუჯეტს, ასევე 2025 წლის სამოქმედო გეგმა, დასახული მიზნები და ამოცანები, რომელიც გაწერილი გახლავთ თვეების მიხედვით.

იანვრიდან ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის ინიციატივით კვლავ გაგრძელდა პროექტი, „როცა ერთმანეთს ვჭირდებით“, პროექტის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ შშმ პირებზე, ასაკით პენსიონრებზე, სხვადასხვა დაავადების მქონე ადამიანებზე, რომელთაც უჭირთ საზოგადეობაში ინტეგრაცია და ხელეწიფებათ სხვადასხვა შემოქმედებითი საქმიანობა : წერა, ხატვა, ძერწვა, სიმღერა, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების შექმნა და ა. შ მათზე გაკეთდება მცირე ვიდეორგოლები, სადაც ასახული იქნება მათი საქმიანობის და ინტერესის სფერო. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ვიდეორეპორტაჟები ასევე გადის სატელევიზიო სივცეში, ტვ-ქართულ არხზე.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციტივით 5 თებერვალს საქართველოში, უკვე, მეათედ წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნება.

,,იკითხე ხმამაღლა შეცვალე მსოფლიო“ ამ სლოგანით, ხარაგაულის ცენტალურ ბიბლიოთეკაში ღონისძიება გაიმართა.

ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა საბავშვო ბიბლიოთკაშიც.

7 თებერვალს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

თებერვლის თვეში წარმატებით გამოვიდნენ სხვადასხვა ფესტივალებზე ქორეოგრაფიული ანსამბლები „უბისი“ და „ მთიელი“.

თებერვალშივე, ხარაგაულის თეატრმა წამოიწყო ახალი პროექტი, „თეატრის ჯადოსნური სამყარო", პროექტის ფარგლებში ახალგაზრდები ეცნობიან თეატრის მოკლე ისტორიას, თეატრის სპეციფიკას, განათებას, რა ხდება ფარდის მიღმა, ასევე ეცნობიან თოჯინების თეატრის მუშაობის პრინციპებს!

მარტის თვეში ხარაგაულის ტურიზმის ცენტრის ინიციატივით ჩამოყალიბდა მოლაშქრეთა კლუბი „ნაცნობი ბილიკი“, რომელშიც დღეისათვის 40 მდე ახალგაზრდაა რეგისტრირებული. კლუბის მიზანია ხარაგაულის ტურისტული პოტენციალის გაზრდა, ასევე ლაშქრობებისა და სათავგადასავლო ტურებში ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა.

8 მარტს სამკითხველო დარბაზში გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ასევე ლიტერატურული თეატრის ორგანიზებით ხარაგაულის სოციალურად დაუცველი ბენეფიციარებისათვის სათნოების სახლში გაიმართა საინტერესო საღამო.

20 მარტს, ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა ორი ქართველი პოეტის: ტიციან ტაბიძისა და კოლაუ ნადირაძის 130 წლის საიუბილეო ღონისძიება.

მარტის ბოლოს ხარაგაულის ინოვაციების ცენტრში დაიწყო Lego robotics კონსტრუქტირების და დაპროგრამების სწავლებას ახალ ჯგუფთან

მუშაობა, ასევე დაიწყო 3D პრინტერის მოდელირებისა და კომპიუტერული პროგრამების word_exel_powerpoint შესწავლა.

25 მარტიდან, ერთი თვის განმავლობაში, ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის ორგანიზებით, მოეწყო გამოფენა „ქალი ხელოვანი“ , მეოთხე საგამოფენო სივრცეში გამოიფინა მუზეუმის ფონდში დაცული ქალ ხელოვანთა ნამუშევრები.

27 მარტს, თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლების უფროსკლასელებისთვის გაიმართა სპექტაკლი ,,ბამბაზიის სამოთხე" .

1 აპრილს, ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზმა იუმორის საღამოს უმასპინძლა.

ხარაგაულის კულტურის ხელოვნების და შიდა ტურიზმის ცენტრთან არსებულმა შშმ პირთა პროექტმა, რომელიც უკვე მერვე წელია ფუნქციონირებს , 1 აპრილიდან განაახლა მუშაობა. აქვე გეტყვით, რომ ამ პროექტის ბიუჯეტი წელს 5 ათასით გაიზარდა.

პროექტის ფარგლებში ისწავლება ბრაილის შრიფტი და ადაპტირებული კომპიუტერი, ასევე ფუნქციონირებს ლიტერატურის წრე, რომელიც შემაჯამებელ ღონისძიებას ატარებს ყოველი წლის ბოლოს. ამჟამად პროექტში ჩართული არის 11 შშმ პირი. მეცადინეობები იმართება ყოველ ოთხშაბათს.

4 აპრილს, ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში , პოეტ აკაკი გაბრიჭიძის პოეტური კრებულის პრეზენტაცია გაიმართა.

11 აპრილს, თბილისში, №11 (არასრულწლოვანთა) პენიტენციურ დაწესებულებას რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი იზა ვეფხვაძე ესტუმრა ლიტერატურული სპექტაკლით.

28 აპრილს ხარაგაულის კინოთეატრში გაიმართა თამაზ კიკნაძის 90 წლისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო.

29 აპრილს დაიწყო და ერთ კვირას გასტანა საბიბლიოთეკო კვირეულმა, რომლის ფარგლებშიც არაერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა ყველა საბიბლიოთეკო განყოფილებაში, მათ შორის მწერალ გოჩა სხილაძესთან შეხვედრა.

30 აპრილს დაიწყო  და 18 მაისს დასრულდა ახალგაზრდული ფესტივალი ,,გაზაფხულის ხარაგაული".

ფესტივალის ფარგლებში არაერთი გასართობი, სათავგადასავლო თუ ინტელექტუალური ღონისძიება გაიმართა, მათ შორის“ მან-სან-კანის“ ფესტივალი ახალგაზრდებისათვის, „რა, სად, როდის“, მოსწავლეთა შორის, „ჯომარდობა“ მდინარე „ჩხერიმელაზე“, „სათავგადასავლო ტურ-თამაშები“ მოსწავლეთა შორის, „ქართული სამოსის დღე“, „ღამე მუზეუმში“ პროექტი „წარმატების გასაღები“, ლექცია უფროსკლასელებისათვის „თანამედროვე ტექნოლოგიები“ და სხვა.

15 მაისს გაიმართა ხარაგაულის სიმღერის ანსამბლის“ ხარაგაულის ხმების“ სოლო კონცერი.

კვლავ წარმატებით მონაწილეობს ქართულ ლიგაზე ხარაგაულის იუმორისტული გუნდი „ჭირიმე“ რომლებშიც მოსწავლეებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული კულტურის სამსახურის მსახიობები.

წარმატებით მუშაობს პროექტი „მოძრავი ბიბლიოთეკა“, რომელშიც ჩართულები არიან სოციალურად დაუცველთა პროგრამით დასაქმებული თანამშრომლები. ამ პროგრამის ფარგლებში დამატებით 300-ზე მეტ ოჯახს მოემსახურენ წიგნების მიტანით სახლიდან გაუსვლელად.

ცალკე გამოსაყოფია ინოვაციების ცენტრი, მოგეხსენებათ, შარშან, გერმანიის მხარის დაფინანსებით განხორციელდა აამ ცენტრისათვის 100 ათასი ლარის ღირებულების ინვენტარის შეძენა, მათ შორის ავეჯი, მაღალი დონის კომპიუტერები, დრონი, ფერადი პრინტერი, ჭკვიანი დაფა, მონიტორი, ფოტოაპარატი და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მოხდა ინოვაციების ოთახისა და დარბაზის კეთილმოწყობა. დღეისათვის აღნიშნულ ცენტში მიმდინარეობს სწავლებები როგორც მოსწავლეთათვის, ასევე ზრდასრული ადამიანებისათვის, ვისაც სურვილი აქვს შეისწავლოს სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამები.

ოთარ აბაშიძის სახელობის თეატრი ინტენსიურად ემზადება მორიგი პრემიერისათვის, რომლითაც წარსდგებიან როგორც ხარაგაულელი მაყურებლის წნაშე, ასევე ქუთაისის თეატრალურ ფესტივალზე.

გასულ წელს მოწესრიგდა ხარაგაულის კინოთეატრი უკანა დაზიანებული მხარე, რომელიც სტიქიის დროს დაზიანდა, ასევე სრულად მოწესრიგდა შენობაში განთავსებული საცეკვაო დარბაზი. კინოთეატრში სულად აღდგა ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც სტიქიის გამო ორი წლის განმავლობაში გამოსული იყო მწყობრიდან. შეკეთდა კინოთეატრის სახურავი, სიდანაც ინტენსიური წვიმების დროს წყალი ჟონავდა, რაც გამოწვეული იყო სახურავის მცირე დახრის კუთხის გამო და ტალღისებური თუნუქით გადახურვის გამო. მოხდა გადაბმული ადგილების ე. წ. დასილიკონება და ჯერჯერობით პრობლემა მოგვარებულია.

რამოდენიმე სიტყვით მინდა აღვნიშნო პრობლემებზე. დავიწყოთ ინფრასტრუქტურით: კვლავ პრობლემად რჩება კულტურის ცენტრის შენობის შიდა მდგომარეობა და სახურავი. მერიას დაანონსებული აქვს ამ შენობის სრული რეაბილიტაცია, სადაც მომავალში განთავსდება და ჩამოყალიბდება ახალგაზრდული ცენტრი. აღნიშნული ცენტრის რეაბილიტაციას შეგვპირდა მგფ-ის ფონდი, პირადად შეისწავლეს ადგილზე მდგომარობა, გადაიღეს და შეაგროვეს საჭირო მონაცემები და ვართ მოლოდინის რეჟიმში.

კვლავ პრობლემად რჩება მაღალი სიხშირის და ხარისხის აპარატურა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ღია ცის ქვეშ ღონისძიებების გამართვა. მივმართეთ არაერთ კომპანიას, რომლებიც ამ საქმიანობით არიან დაკავებულები, მათ შორის ფირმა „მი-ფა-სი“-ს, რომლებმაც სრულად შეისწავლეს ჩვენი კინოდარბაზის საჭიროება და გადმოგვიგზავნეს შესაბამისი აპარატურის ხარჯთაღრიცხვა, თუმცა ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, ციფრული განათება, მიქჩერი, დინამიკები, დისტანციური მიკროფონები ერთობლიობაში სადღაც 90 ათას ლარამდე ადის, რისი გადახდაც ამ ეტაპზე არ შეგვიძლია.

კვლავ პრობლემატულია არაერთი ბიბლიოთეკის შენობა. მაგალითად, საღანძილის ბიბლიოთეკა დღემდე იძულებით განთავსებულია ავარიულ

სკოლაში, სადაც სპეციალისტების დასკვნით სახიფათოა ყოფნა, ხევში ველოდებით ახალ შენობას, რათა მოხდეს ნაქირავები შენობიდან წიგნების დროულად გამოტანა. ბაზალეთში ველოდებით ახალ შენობაში გადასვლას. მარელისის ბიბლიოთეკაში იატაკია შესაკეთებელი, მასალა მოძიებულია და მოკლე ხანში მოხდება ამ პრობლემის მოგვარება.

კვლავ ღუმელით თბება საბავშვო და პატარა ხარაგაულის ბიბლიოთეკები და სასურველია ამ შენობებში მოხდეს გაზიფიცირება. სავალალო მდომარეობაშია საბავშვო ბიბლიოთეკის სახურავი და გვაქვს მზაობა, ამ ზაფხულს აღნიშნული პრობლემა მოგვარდეს, ან შეკეთდეს, ან მთლიანად ახლით ჩანაცვლდეს.

გათბობის პრობლემა გვაქვს ისტორიულ მუზეუმშიც, სადაც ასევე შეშის ღუმელები გვიდგას და სასურველია მანდაც ცენტრალური გათბობის დამონტაჟება.

სარემონტო სამუშაოები ჩასატარებელია ბორითის კულტურის დარბაზში. ფაქტიურად გამოუსადეგარია ნახევარსაუკუნოვანი ფარდა. მიცემული გვაქვს შეკვეთა და აღნიშნული პრობლემა მოგვარდება უახლოეს დღეებში.

ასევე გვაქვს მიმდინარე პრობლემები, რომლებსაც ეტაპობრივად ვაგვარებთ.

2025 წლის ბოლომდე არაერთი ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი, (იხ. ცხრილი) შესაბამისად, ხარაგაულის „კულტურის, ხელოვნების და შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრი“ სრულ მზადყოფნაშია ხარაგაულის მაყურებელს და არა მარტო მათ შეთავაზოს მაღალი ხარისხის კულტურული პროდუქტი.

ცხრილი:

**მაისი**

პროექტი „მსოფლიო ფაშიზმის წინააღმდეგ“ (ისტორიული მუზეუმი)

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი (კულტურის ცენტრი)

პროექტი „პოეზია ბუნების წიაღში“ (საბავშვო ბიბლიოთეკა)

ყვავილების ფესტივალი(ლიტერატურული თეატრი, ტურიზმის სამსახური)

სათავგადასავლო ტურ-თამაშები მოსწავლეთა შორის, ფინალი(ტურიზმის სამსახური)

„თოჯინების თეატრი“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში(კულტურის ცენტრი)

ეროვნული სამოსის დღის აღსანიშნავი ღონისძიება (ისტორიული მუზეუმი

პროექტი ,,პატარა არქეოლოგები“, ,,მოხალისე რესტავრატორები“ „ღამე მუზეუმში“ (ისტორიული მუზეუმი)

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ცხენოსანთა მსვლელობა ჩხერის ციხეზე (ტურიზმის სამსახური)

**ივნისი**

ო. აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის „პრემიერა“

ქორეოგრაფიული ფესტივალი „კიდევაც დაიზრდებიან“ (კულტურის ცენტრი)

მუზეუმების საერთაშორისო დღე. კვირეულის ფარგლებში:„მოხალისე გიდები“, „ფერწერული მუსიკა“, ფოტოგამოფენა. (ისტორიული მუზეუმი)

სამხატვრო პლენერი „გამა“ (ლიტერატურული თეატრი)

სპორტული თევზაობა (ტურიზმის სამსახური)

ბავშვთა დაცვის საერთაშორისი დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები, „პატარები და ფერადი სამყარო“

ბავშვთა ნამუშევრების დამოფენა. (ისტორიული მუზეუმი)

ანსამბლ „მთიელის“ სოლო-კონცერტი

**ივლისი**

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „უბისის“ კონცერტი (კულტურის ცენტრი)

ფოტო კონკურსი (ტურიზმის სამსახური)

ლიტერატურული კონკურსი „ოდეონი“ (ლიტერატურული თეატრი)

ლინა ბარათაშვილის ლიტერატურული საღამო (ლიტერატურული თეატრი)

პროექტი ,,ჩემი პატარა ხელებით“(ისტორიული მუზეუმი)

ანსამბლ „ხარაგაულის კვარტეტის“ კონცერტი (კულტურის ცენტრი)

ლაშქრობა -ტურები -ვახანის ციხე, ნუნისი(ტურიზმის სამსახური)

**აგვისტო**

ო. აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის სპექტაკლი

იუმორის საღამო-„ჭირიმე“ და მეგობრები (კულტურის ცენტრი)

მოსწავლეთა კარვების ბანაკი(ტურიზმის სამსახური)

ლიტერატურული კონკურსი „ ოდეონი“ ახალგაზრდებისთვის (ლიტერატურული თეატრი)

ქვიშის ფრენბურთის ტურნირი (ტურიზმის სამსახური)

**სექტემბერი**

შემეცნებითი პროექტი „ქართული ხალხური საცხოვრისი“ (ისტორიული მუზეუმი)

შეხვედრა მწერალთან (ცენტრალური ბიბლიოთეკა)

კონკურსი „ხარაგაულის ტურისტული ადგილები“

ახალი სამარშრუტო ბილიკის ლაშქრობა-პრეზენტაცია

**ოქტომბერი**

ო. აბაშიძის სახელობის  სახალხო თეატრის 125 წლის იუბილის აღსანიშნავი საზეიმო საღამო (კულტურის ცენტრი)

რეზო თაბუკაშვილის ლიტერატურული თეატრის „პრემიერა“ (ლიტერატურული თეატრი)

„ხარაგაული საუკუნის წინ და ხარაგაული დღეს“  -ფოტოგამოფენა, „შემოდგომა იმერეთში“ (ისტორიული მუზეუმი)

კერამიკული ნაკეთობების დამზადების მასტერკლასები მოსწავლეთათვის (ტურიზმის სამსახური)

ფოლკლორის საღამო (კულტურის ცენტრი)

**ნოემბერი**

„ხარაგაულობის“ დღესასწაული

ყველისა და მწნილეულის ფესტივალი(ტურიზმის სამსახური)

ლიტერატურული საღამო (ცენტრალური ბიბლიოთეკა)

იმერული კერძების მასტერკლასები

გასართობი კულინარული შეჯიბრი მოსწავლეთა შორის

**დეკემბერი**

პროექტი „ რეპორტაჟი ხარაგაულიდან“ მუნიციპალიტეტის სოფლების წარდგენა.

შემეცნებითი „ტრადიციები საქართველოში“ (ისტორიული მუზეუმი)

საახალწლო ღონისძიებები

- მურაბებისა და ტკბილეულის ფესტივალი

კულტურის, ხელოვნებისა და შიდა

ტურიზმის განვითარების ცენტრი: /მ. ჭიპაშვილი/